

გაზეთი ბეჭედი „ვერსიი“ ერთი

ვერსიი

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№44 (1070) 24 - 26 აპრილი, 2015 წელი

გაუქმდება თუ არა გაუმრიგარული სისტემა

28 აპრილს პრეზიდენტი ოპოზიციას შეხვდება

გვ. 5

ექსკლუზივი

თემურ ბასილია პერაბიშვილ-ოქრუაშვილთან შეხვედრისა და ქვანია-სააკაშვილის გუნდთან დაპირისპირების დატალღას ამხელს



„არც დემურ ღვადიშვილის თვითმკვლელობის საგამოძიებო
კომისიის თავმჯდომარეობა და არც „მწვანეების“ მიერ
102 მილიარდის გათეთრება არ ყოფიდა ჩემი დევნის
რეალური მიზეზი და რა იყო, გეცხვით!“

გვ. 3-4

რა ფაქტზე „შეუქარა“ კბილაშვილის პროკურატურამ სააკაშვილის ხელისუფლების დევნილ თემურ ბასილიას იარაღის საქმე

საქართველოსა და ბელარუსის
შინაგან საქმეთა მინისტრებმა სამ
საერთაშორისო სამართლებრივ
დოკუმენტს მოაწერეს ხელი



გვ. 2

სარეკლამ iPhone 6 ან Samsung Galaxy S6
ლიბერთი ბანკის მოგილბანკის მომსახურებას!

LB **ლიბერთი ბანკი**
LIBERTY BANK



ქეთევან ნაზრიაშვილი: „პროფესიული განათლება ევროპული სტანდარტების შესაბამისად ვითარდება“

რა ცვლილებები შედის პროფესიული
განათლების შესახებ კანონში

გვ. 7

რა ცვლილებები შედის კანონში კომპერატივების შესახებ

კოოპერატივი „ანაგველები“ დუშეთში
დეკას ჩაის წარმოებას იწყებს

გვ. 9

ფროიდის ბავლენა პატიმრებზე

გვ. 6

კატინის
დღიური

თათა ვარდანაშვილი

„საქართველოს
პრეზიდენტი ჩემი
შეკერილი ფეხსაცმლით
დადიოდა. ნორმალურ
ადამიანს ეს არ უნდა
უხაროდეს?.. მოვიდნენ
ამჟამინდელი
პრეზიდენტი და
პრემიერი და
მათაც შევუკერავ
ფეხსაცმელს...“

გვ. 8



ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში

პრეზიდენტის რეზიდენციაში ალექსანდრე ლუკაშენკოს დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ავღაბრის რეზიდენციაში მიიღო.

დახვედრის ცერემონიაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების ორკესტრის მიერ საქართველოსა და ბელარუსის სახელმწიფო ჰიმნები შესრულდა, რის შემდეგაც პრეზიდენტებს საპატიო ყარაული მიესალმა.

პრეზიდენტებმა საქართველოს სახელმწიფო დროშას პატივი მიაგეს და ნითელ ხალიჩასთან განლაგებულ საპატიო ყარაულის მწკრივს ჩაუარეს.

ალექსანდრე ლუკაშენკოს გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს დელეგაციის წევრები გააცნო, რომლის შემადგენლობაში არიან: საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუაშვილი, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით პატარაია, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე გიორგი აბაშიძე, საგარეო ურთიერთობათა საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი თენგიზ ფხალაძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიძე და საქართველოს ელჩი ბელარუსში დავით კოტარია.

ბელარუსის დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ვიცე-პრემიერი მიხაილ რუსი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ მაკეი, მს. მინისტრი იგორ შუნივეჩი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ლეონიდ ზაეცი, განათლების მინისტრი მიხაილ ჟურაკოვი და მრეწველობის მინისტრი ვიტალი ვოვკი.

დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ პრეზიდენტები ერთმანეთს პირისპირ და შემდეგ გაფართოებულ ფორმატში შეხვედნენ.

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო მუხარებთ აღნიშნავს, რომ საქართველოში, ფაქტობრივად, არც ერთხელ არ ყოფილა და საბჭოთა პერიოდში მხოლოდ სოხუმშია ჩასული. საქართველოს პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრის დაწყებამდე ბელარუსის პრეზიდენტმა საქართველოს ლეგენდარული ქვეყანა უწოდა და აღნიშნა, რომ დიდი ხნის წინ უნდა ჩამოსულიყო. ალექსანდრე ლუკაშენკომ ქართველი და ბელარუსი ხალხის ურთიერთობებსაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ მისი ერთ-ერთი ქართველების მიმართ პატივისცემას მუდმივად გამოხატავდა: „ჩვენ დიდი ხნის წინ უნდა შეხვედროდით აქ, ამ ლეგენდარულ ქალაქში, ქვეყანაში. ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვყოფილვარ თბილისში და სამუხაროდ, ფაქტობრივად, არც საქართველოში. საბჭოთა პერიოდში ვიყავი სოხუმში. როგორც ისტორიკოსმა ბევრი ვიცი საქართველოზე და ჩემთვის ის ლეგენდარული ქვეყანა იყო, ლეგენდებით გარშემორტყმული, ამიტომ ალბათ, დიდი ხნის წინ უნდა ჩამოსულიყავი აქ, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, ვინაიდან ბელარუსი ხალხი განსაკუთრებულ ღრმა გრძობებს, პატივისცემას მუდმივად გამოხატავდა ქართველი ხალხისადმი. ალბათ, იცით, რომ ჩემი ვიზიტი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დროს დალუპულთა ხსოვნისადმი პატივის მიცემით. ეს იმიტომ, რომ ბელარუსს ათასობით ქართველი ათავისუფლებდა და ამ ბრძოლას ასობით, შეიძლება ათასობით ქართველი შეენირა. მადლობელი ვარ მასპინძლობისთვის. ვფიქრობ, გვაქვს შესაძლებლობა მომავალი ურთიერთობების ფუნდამენტი შევქმნათ, რომელიც ძლიერ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე იქნება დაფუძნებული. პოლიტიკაში არავითარი წინააღმდეგობები არ გვაქვს. მადლობელი ვარ ასევე ყოფილი პრეზიდენტის და თქვენიც, რომ ყველგან, დასავლეთში მხარს გვიჭერდით და ამას დღესაც აკეთებთ“.

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობებში არის კარგი ნარსული, რომელზეც შესაძლებელია უკეთესი მომავლის დაშენება: „რა თქმა უნდა, თქვენი პირადი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის, ქართველების მიმართ უკვე მშვენიერი ფუნდამენტია, რომ ურთიერთობები განვითარდეს. ვფიქრობ, ბევრ ასპექტში საქართველოსა და ბელარუსის ურთიერთობები სხვა ქვეყნებისთვის მაგალითია და ასე იქნება მომავალშიც, რადგან ჩვენ ვინც ვინც შეხვდებით საინტერესოა და თანამშრომლობისკენ“.

საქართველოსა და ბელარუსის პრეზიდენტებმა ერთ-



ბლივ განცხადებას მოაწერეს ხელი, სადაც მხარეები სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ძალის გამოყენების და ძალით დამუქების მიუღებლობას ადასტურებენ. ერთობლივ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველო და ბელარუსი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ხელშეუხებლობის პატივისცემას ადასტურებენ. დოკუმენტში ასევე ასახულია საკითხები, რომლებზეც 2 ქვეყნის პრეზიდენტები და სახელმწიფო დელეგაციები შეთანხმდნენ.

ხელი მოეწერა ასევე საგარეო-სამრეწველო პალატებს შორის თანამშრომლობისა და მეცნიერებათა აკადემიებს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებს.

საქართველოში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ, დელეგაციასთან ერთად, პატივი მიაგო საქართველოს ერთიანობისთვის დალუპული გმირების ხსოვნას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დალუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

საქართველო და ბელარუსი მთელ რიგ სფეროებში თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადადიან. შესაბამისი დოკუმენტებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ეკონომიკის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, განათლებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებმა და მათმა ბელარუსმა კოლეგებმა მოაწერეს ხელი. ხელმოწერილია 10-ზე მეტი შეთანხმება, რომელიც საქართველო-ბელარუსის სამთავრობო უწყებების მჭიდრო თანამშრომლობას გულსხმობს. მათ შორისაა თანამშრომლობა ორი ქვეყნის საგარეო უწყებებს შორის, დანაშაულთან ბრძოლის სფეროში, საბაჟო საკითხებში, ჯანდაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში, ასევე ურთიერთგაგების მემორანდუმში ოუსტიციის სამინისტროებს შორის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილისა და ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს შეხვედრის მთავარი თემა კი საქართველო-ბელარუსის ურთიერთობები იყო. პირისპირ შეხვედრაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში, ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერის (ცერემონიის შემდეგ გაიმართა, საქართველოში ალექსანდრე ლუკაშენკოს ვიზიტის მნიშვნელობა ხაზგასმით აღინიშნა. პრემიერ-მინისტრმა ბელარუსის პრეზიდენტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ორი ქვეყნის ურთიერთობის გაღრმავების იმედი გამოთქვა. მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველო-ბელარუსის ეკონომიკურ თანამშრომლობის პერსპექტივებზე. ხაზი გაესვა საქართველოში ბელარუს ბიზნესმენტთა დელეგაციისა და საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმის ჩატარების მნიშვნელობას, რომელიც ბიზნესებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარებას შეუწყობს ხელს.

პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ლარიბაშვილმა ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოსა და ბელარუსის სამთავრობო



დელეგაციის წევრებს ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ალექსანდრე ლუკაშენკოს მადლობა გადაუხადა ვიზიტისთვის და ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავების იმედი გამოთქვა.

ოფიციალური სადილის დაწყებამდე, სტუმრებმა რამდენიმე სახეობის ქართული ღვინო დააგემოვნეს და ქართული ღვინის ისტორიის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

ლუკაშენკომ ირაკლი ლარიბაშვილი ბელარუსში მიიწვია.

ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში 24 აპრილს დასრულდება. სამშობლოში დაბრუნებამდე, ალექსანდრე ლუკაშენკო, გიორგი მარგველაშვილთან ერთად, 24 აპრილს, ბათუმსაც ეწვევა.

ბელარუსის პრეზიდენტი საქართველოში გიორგი მარგველაშვილმა შარშან მიიწვია; სახელმწიფო ვიზიტზე მუშაობა ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

„ვერსიანისი“



საქართველოსა და ბელარუსის შინაგან საქმეთა მინისტრებმა სამართავრობის სამართლებრივ დოკუმენტს მოაწერეს ხელი

ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა და ბელარუსის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, იგორ შუნივეჩიმა ხელი მოაწერეს სამართავრობის სამართლებრივ დოკუმენტს: დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რეადმისიის შესახებ შეთანხმებასა და მის საიმპლემენტაციო ოქმს.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ბელარუს კოლეგასთან ოფიციალური შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

„ვერსიანისი“

საქართველოში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე იანეტა ლიბაჟიჩი



ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ენეტა ლიბაჟიჩი საქართველოს მაისის დასაწყისში ეწვევა.

ესპანური საინფორმაციო სააგენტო EFE-ს ცნობით, ბრასსერმა საქართველოში ვიზიტის თაობაზე განცხადება სტრასბურგში გააკეთა. ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე განაცხადა, რომის დიპლომატიის მნიშვნელოვანი პლატფორმაა.

საქართველოში ვიზიტის აუცილებლობაზე საუბრისას ენეტა ლიბაჟიჩი ასევე აღნიშნა, რომ ურჩევნია რეგიონზე ნარმოდგენა პირადად შეიქმნას. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე აქამდე უკვე იმყოფებოდა თურქეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

„რეგიონული მიდგომა, ადამიანების გაგება საერთო კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ბრასსერმა.

რაც შეეხება მაისში დაგეგმილ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის თქმით, „პასესა“ და ევროკავშირთან კონტაქტი პოზიტიური და სასარგებლოა.

„პირველი“

უს საინისტრომ ე.ნ. ბიო აპოილო



უს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მეთერთმეტე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, ნარსულში ძარცვისთვის ნასამართლევი ლევან ნ. ახალი ფსიქოპატიური ნივთიერების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით თბილისში, პეკინის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 9,04 გრ. ე.ნ. ბიო აპოილეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ახალ ფსიქოპატიურ ნივთიერებას შეიცავს. გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული „ბიო“ ლევან ნ-მ ინტერნეტით საზღვარგარეთიდან გამოიწვია.

გამოძიება ახალი ფსიქოპატიური ნივთიერების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით).

„ვერსიანისი“



გიორგი გახიძე

1997 წელს, თემურ ბასილია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ეკონომიკურ მრჩევლად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე „ვარდების რევოლუციამდე“ მუშაობდა. 2004 წელს, შევარდნაძის მალაჩინოსანი რამდენჯერმე დაკითხეს, თუ მცა არ დაუკავებიათ, ამავე წლის ივლისში, ბასილიამ ქვეყანა დატოვა. სასამართლომ დაუსწრებლად, ქრთამის აღების გამო, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და მასზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით, ძებნა გამოცხადდა. ზურაბ ადვიშვილის უწყებამ, თემურ ბასილიას კუთვნილ საკრედიტო ბარათს ქრთამი უწოდა და მის მიერ, საკუთარი თანხის გადარიცხვაც ქრთამად ჩაუთვალა. თემურ ბასილიას აშშ-ს ხელისუფლებამ პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა და ის ახლა ვაშინგტონში, ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ბოლო დროს, თემურ ბასილია გააქტიურდა, პრესაში მისი რამდენიმე ინტერვიუ გამოქვეყნდა, მაგრამ მის საქმეში იმდენად აბსურდული ბრალდებები იკვეთება და იმდენი კითხვა ჩნდება, რომ გადავწყვიტეთ, თემურ ბასილიას აშშ-ში დაკავშირებოდით.

— ბატონო თემურ, თავდაპირველად, ბრალი რის გამო წაგიყენეს, თან თუ არ ვცდები, დაკითხვებზეც დადიოდით, ხომ? — არა, მხოლოდ ერთხელ ვიყავი, როდესაც დადასტურებული წყაროების საშუალებით გავიგე, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ზუსტად ისევე აპირებდა ჩემთან სპეცრაზმის მოგზავნას დასაკავებლად, როგორც იმ პერიოდში ხდებოდა.

აქამდე ეს არავისთვის მითქვამს, ახლა თქვენ გეუბნებით პირველად. ეს ინფორმაცია რომ მივიღე, ვანო მერაბიშვილს დავურეკე და შევხვდი, მაგრამ მითხრა, რომ არაფერ შუაში იყო და მაშინდელ გენერალურ პროკურორთან, ირაკლი ოქრუაშვილთან გადაამამისამართა. მეორე დღეს ირაკლი ოქრუაშვილსაც შევხვდი, რომელსაც ჩემს საჯარაუდო ბრალეულობაზე გარკვეული მოსაზრებები ჰქონდა, თუმცა აუფხსენი, რომ ეს ყველაფერი არარეალური იყო და ასე დავშორდი ერთმანეთს.

— კონკრეტულად, რა საქმეზე ესაუბრეთ ირაკლი ოქრუაშვილს? — არაფერი საქმე არ ყოფილა, ეს უბრალოდ, ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო. გარდა ამისა, თვენახევრის მანძილზე, უშიშროების მანქანები დამდევენ, ეს საკმაოდ ღია, დაუფარავი და აგრესიული თვალთვალი იყო. უშიშროებას 15 მანქანა ჰყავდა, მაგრამ 11 მე დამდევდა, მაინტერესებდა, ჩემი დევნის გარდა, სხვა საქმე არ ჰქონდათ, მაგრამ მერაბიშვილსა და ოქრუაშვილს არაფერი აუხსენიათ. იმ პერიოდში, არანაირი საქმე და კონკრეტული არ ყოფილა.

კონკრეტულად 2005 წლის 17 ივლისიდან დაიწყო, როდესაც ბათუმში მთავრობის გაფართოებული სხდომა გაიმართა. ეს სხდომა იმითაა ცნობილი, რომ სამეგრელოს გუბერნატორმა თქვა, ბატონო პრეზიდენტო, ხალხი ისე გამდიდრდა, აფხაზებმა რომ კაცი მოიტაცეს, გამოსასყიდი ორ დღეში მოუგროვებსო. სწორედ ამ მთავრობის

თემურ ბასილია მერაბიშვილ-ოქრუაშვილთან შეხვედრისა და ქვანია-სააკაშვილის გუნდთან დაპირისპირების დეტალებს ამხელს

სხდომაზე ბრძანა სააკაშვილმა, რომ თემურ ბასილიას ეპოქა დასრულდა, ჩემი დაჭერა და დასჯა იმავე სხდომაზე დაავალა მაშინდელ გენერალურ პროკურორს.

— როდის და რა ვითარებაში დატოვეთ საქართველო? — 2004 წლის ივლისში, გაერო-დან შემოთავაზება მივიღე და ტაჯიკეთში წავედი. ქვეყნიდან წასვლას არ ვაპირებდი, მაგრამ სამსახუროდ, 7-8 თვის მანძილზე, უმუშევარი ვიყავი. ჩემი სამსახურში აყვანა არ უნდოდათ, რადგან ემინოდით, სხვა არჩევანი არ მქონდა და რადგან ასეთი შემოთავაზება მივიღე, დავთანხმდი. — ამბობთ, რომ უშიშროების 11 მანქანა გითვალთვალებდათ, ამ პირობებში, საზღვრის გადაკვეთა არ გაგიჭირდათ? — არა, რადგან 2004 წლის თებერვალი-მარტი-აპრილის მანძილზე მითვალთვალდნენ, თვენახევრის შემდეგ ჩემი დევნა შეწყდა, საზღვარი კი 2004 წლის ივლისში გადავკვეთე. — ოფიციალურად ბრალი რა ვითარებაში წაგიყენეს, ანუ ინტერპოლის წითელი ცირკულარით როდიდან დაიწყეს ძებნა?

— სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ სააკაშვილმა მთავრობის სხდომაზე მეც მახსენა. ეს ის პერიოდი, როდესაც ტაჯიკეთიდან ყაზახეთში, გაცილებით სერიოზულ თანამდებობაზე გადავედი. ტაჯიკეთში ათასწლეულის პროგრამას ვხელმძღვანელობდი, ყაზახეთში კი გაერო-ს ცენტრალური აზიის რეგიონის ეკონომიკური მრჩევლის პოსტზე გადამიყვანეს. ალმა-ათაში გადავედი თუ არა, რამდენიმე დღის შემდეგ, თბილისიდან დედამ დამირეკა — პროკურატურის წარმომადგენლები მისულან და უთქვამთ, ბასილიას ბრალი უნდა წაუყენოთო. ეს სააკაშვილის დავალებიდან 4 თვის შემდეგ მოხდა.

— ბატონო თემურ, თავდაპირველად, ქრთამის აღებასა და თანხების გაფლანგვაში გდებდნენ ბრალს?

— არა, ასე არ ყოფილა. ბრალი, რომელიც წამიყენეს, აბსოლუტური უაზრობა იყო, თითქოს სახელმწიფო მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, კობა გვენეტაძემ, ტენდერი ჩაატარა, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა. თითქოს კობა გვენეტაძემ ეს დანაშაული მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ სამსახურებრივი გულგრილობა გამოვიჩინე და ბრალიც ამიტომ წამიყენეს. ერთ-ერთ ეპიზოდში, ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას თითქოს ერთ-ერთი პროექტი უნდა გაეგრძელებინა, რომელიც აღარ გააგრძელა და ესეც ჩემი სამსახურებრივი გულგრილობის ბრალი იყო. საქმის მასალებში, ამ აბსურდული ბრალდების გარდა, უცნაური ფაქტებიც იყო, მაგალითად, მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოლაიდელმა, 50 000 აშშ დოლარი გაფლანგა და თურმე ნოლაიდელმა ეს იმიტომ მოახერხა, რომ სამსახურებრივი გულგრილობა გამოვიჩინე. კითხვები ჩნდებოდა — თუ იმ ხალხმა დანაშაული ჩაიდინა, ბრალი ხომ უნდა წაეყენებინათ.

— როგორ, პროკურატურამ კობა გვენეტაძე და ზურაბ ნოლაიდელი არ დაკითხა?

— არა! მეტსაც გეტყვით, რამდენიმე წლის შემდეგ, კობა გვენეტაძეს შემთხვევით შევხვდი და ამ საქმის შესახებ არაფერი იცოდა.

— ბატონო თემურ, ათასწლეულის გამონვევის პროგრამის ფარგლებში, 5 000 000 აშშ დოლარის გაფლანგვაზეც გედავებოდნენ?

— არა, ჩემს საქმეში მსგავსი ბრალი არ ყოფილა. ეს აბსოლუტური სიცრუეა, საერთოდ არ წერია პროკურატურის მასალებში, რომ ათასწლეულის გამონვევის პროგრამის ფარგლებში, თანხის გაფლანგვას მედავებოდნენ. ლაპარაკი იყო ერთ-ერთ პროექტზე, რომლის ერთ, იურიდიულ მიმართულებას მიხედავს სააკაშვილი, მეორეს ზურაბ ნოლაიდელი და მესამეს გიგი უგულავა ხელმძღვანელობდნენ.

— „მილენიუმის“ პროგრამას გულისხმობთ? — არა, ეს იყო პროექტების განმახორციელებელი ჯგუფის პროგრამა, რომელსაც სწორედ ეს პირები ხელმძღვანელობდნენ.

პროკურატურის დოკუმენტებში წერია, რომ ამ პროექტში ფინანსური დარღვევები აღმოჩნდა. თურმე, სააკაშვილის, ნოლაიდელისა და უგულავას ფინანსური დარღვევებიც იმის ბრალი იყო, რომ მე სამსახურებრივი გულგრილობა გამოვიჩინე. პროკურატურის წარმომადგენლებს ვუთხარი კიდევ, რომ პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და ქალაქის მერზე საქმის აღძვრა თუ გინდათ, მე რა შუაში ვარ-თქო, თვითონაც გაოგნებული ვიყავი. ამავე პროექტის ფარგლებში, ბრალი წაუყენეს აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს, მსოფლიო ბანკს, მათ ექსპერტებსა და კონსულტანტებს. არც ერთი მათგანი არათუ არ დაუკითხავთ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ საქართველოს მთავრობა მათ ასეთ ბრალს სდებდა. როდესაც აშშ-ში ჩავედი, ბევრ მათგანთან ვკონტაქტობდი და როდესაც ამის შესახებ ვუთხარი, გაოცდნენ.

არადა, ბრალს მდებდნენ, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას გარკვეული კვლევა უნდა ჩატარებინა, რომელიც არ ჩაატარა და თითქოს ესეც ჩემს სამსახურებრივ გულგრილობას უკავშირდებოდა. არადა, კონკრეტულად ის კვლევა, რომელიც პროკურატურის მასალებშია ნახსენები, ინტერნეტშია განთავსებული.

— გამოდის, თქვენი ბრალდებების 37-ტომეულში, რომელიც პროკურატურამ გამოიძია, აბსურდული ბრალდებებია ასახული?

— ეს 37 ტომი სრული მაკულატურაა, რადგან არც ერთი ბრალი არ დადასტურებულა. სასამართლო ჩემს ინტერესებს ადვოკატი, შალვა შავგულიძე იცავდა, დამოუკიდებელმა ექსპერტებმაც ჩაატარეს კვლევა და საერთოდ, გააცამტვერეს პროკურატურა. სასამართლო პროცესზე, პროკურატურის წარმომადგენლები კედელთან მიაციენეს და პროკურორი იძულებული იყო, მოსამართლისთვის ეთქვა, რომ ბასილიას ნინაალმდევ არავითარი მტკიცებულება არ ჰქონდა. სასამართლოს ეს მასალები, მათ შორის, პროკურორის ეს განცხადებაც ხელთ მაქვს.

— ბატონო თემურ, კონკრეტულად, რას გედავებთ პროკურატურა, რომ ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებო?

— ძებნაში 2006 წლიდან ჩამსვეს. თუმცა ძებნას აცხადებს არა ინტერპოლის ცენტრალური ოფისი, რომელიც საფრანგეთში მდებარეობს, არამედ ინტერპოლის ეროვნული ბიურო, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფია. პროკურატურამ შსს-ს ქვედანაყოფს გადასცა ჩემი მონაცემები და ასე ჩამსვეს ძებნაში.

— მიუხედავად იმისა, რომ ბრალი არ დაგიმტკიცდათ, დღემდე რატომ იძებნებთ?

— ყველაზე აბსურდული ბრალდება დამიტოვეს, თითქოს საკრედიტო ბარათი, რომელიც მქონდა და ვიყენებდი, ქრთამი იყო. როდესაც ეს დოკუმენტები აშშ-ში წარვადგინე და ვუხსენი, თუ რა ბრალი წამიყენა პროკურატურამ, ამერიკელები შოკში ჩაცვივდნენ, ვერ იჯერებდნენ, რომ შეიძლებოდა, ქრთამად ჩათვალათ ის გადარიცხვები, რასაც მე და ჩემი ოჯახის წევრები, საკრედიტო ბარათის საშუალებით ვახორციელებდით.

დასასრული მე-4 გვერდზე

„არც დემურ ღვადიშვილის თვითმკვლელობის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეობა და არც „მწვანეების“ მიერ 102 მილიარდის გათეთრება არ ყოფიდა ჩემი დევნის რეალური მიზეზი და რა იყო, გეცხვით!“



ინტერპარტიული ჯგუფი 28 აპრილს პრეზიდენტს ხვდება



ინტერპარტიული ჯგუფი 28 აპრილს პრეზიდენტს ხვდება

599-95-33-16

ვერსიის ექსკლუზიური ინფორმაციით, სამშაბათს, 28 აპრილს საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფი პრეზიდენტს ხვდება. შეხვედრის დეტალები ჯერჯერობით უცნობია. თუმცა ჩვენი ინფორმაციით, არასაპარლამენტო ოპოზიციის მარჯვენა ფრთის, პირველ რიგში, პარლამენტში გამოსვლისას საარჩევნო კოდექსის გაქვეითების თვის გადაუხდის მადლობას და შესაძლოა, მასთან ერთობლივი ღონისძიებაც დაგეგმოს.

პრემიერის გარდა ყველას შეეხვედით და პარტია „ოცნების“ პოზიცია არ ვიცით; დასძინენ, „ოცნებასაც“, პრემიერსაც და ნახევარ საქართველოსაც ცხოვრების წესს ბიძინა ივანიშვილი უდგენს, თან ყველა ცნობილ და უცნობ არასამთავრობოს ხედვებთან, ოფიციალურ დონეზე, არ ითხოვენ შეხვედრას „მოქალაქესთან“, მოქალაქე ივანიშვილთან, კულუარებში კი ამბობენ, კარგი იქნებოდა, ბიძინას აზრი გვცოდნოდაო. ვიდრე ინტერპარტიული ჯგუფი თვითგამორკვევის რეჟიმშია, საგაზაფხულო სესიაც ნელ-ნელა ილევა, „ოცნება“ კი ამ თემას არასგზობს არ წამოიწიოს — გულწრფელად რომ ვთქვათ, გასაკვირი იქნება, ნებისმიერი ხელისუფალი გამოვარდეს და თავისი ინიციატივით უარი თქვას ამ უთქმელი, აპოლიტიკური, მდიდარი და ბიზნესებიანი მაჟორიტარების კორპუსზე,

რომელიც ხმასაც და ფულსაც უმეტესად იმას აძლევს, ვინც ხელისუფლებაშია. ცოტა ხანში, „ოცნებიდან“ გვეტყვიან, საგაზაფხულო სესიაზე საარჩევნო კოდექსის ცვლილება აღარ ესწრებაო. ამას არასაპარლამენტო ოპოზიციაც მშვენივრად ხედება, მაგრამ დუმს. ხედებიან იმასაც, რომ მარგველაშვილს ამ თამაშში გარდამტეხი როლის შესრულება არ შეუძლია, მას უბრალო მოქალაქეს ეძახიან, მაგრამ მაინც მეორედ ხედებიან. ამის შესახებ ისევ ჩვენთან ინტერვიუში გაჟღერდა, თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ ესაა შეხვედრა შეხვედრისთვის; ასევე ინტერპარტიული ყველა ლიდერი, ერთად და ცალკე-ცალკე ამბობს, რომ ხელისუფლებაში შეუვალი პოზიცია არ აქვთ. ჯერ ერთი, ნონსენსია, საქართველოში ოპოზიციის ხელისუფლების კრიტიკას ასე ზომავდეს და მეორეც, სად ჩანს ეს „არაშეუვალი“ პოზიცია, როცა ამ 12 პარტიას ერთი „ოცნება“ არ ხედება და არ ელაპარაკება უკვე 2 წელია?! ამ დღეებში, ინტერპარტიული ჯგუფი ეროვნულ ფორუმს შეხვედრას, რომელიც ერთ-ერთი მათგანია, ვისაც „შეუვალი პოზიცია“ არ აქვს. გუბაზ სანიკიძესთან ეს შეხვედრა უკვე შეთანხმებულია, მაგრამ შედეგი ყველამ წინასწარ იცის — ისაუბრებენ, „ფორუმში“ დადასტურებენ, რომ კოდექსი შესაცვლელია და დაიშლებიან; ხუთშაბათს კი, 23 აპრილს, ინტერპარტიული ჯგუფის მორიგი შეხვედრა შედგა. შეხვედრის ადგილი შეიცვალა და როგორც ერთ-ერთი პოლიტიკოსი ხუმრობით ამბობდა, ეს დღე ან მათი მუშაობის დასასრული, ან ახალი ეტაპის დასაწყისი იქნებოდა. „დიდი ხუთშაბათობის“ შედეგი პრეზიდენტთან 28 აპრილს ჩანიშნული შეხვედრა აღმოჩნდა. პარტიებმა კი გადანყვიტეს, მომავალ სასესიო კვირას დაელოდონ და საპარლამენტო ფრაქციებსაც ხელახლა შეხვედნენ. თუმცა როგორც იმედაც-რუებულები პოლიტიკოსები არასაინტერვიუდ აცხადებენ, ისლა დარჩენიან, ამ გაუთავებელ შეხვედრებზე უმისამართოდ იარონ და მაჟორიტარული წესის გაუქმება ყველას შესთავაზონ, იმის გარდა, ვისაც ეს ეხება. ერთი სიტყვით, ფარსია თუ არა ეს შეხვედრები და დაათმობინებს თუ არა ოპოზიციას ხელისუფლება საარჩევნო კოდექსის ცვლილებებს, დიდი ალბათობით, სამშაბათს, პრეზიდენტთან შეხვედრისას გამოჩნდება.

თუმცა საარჩევნო კოდექსის ცვლილება მოსახლეობაში პოპულარული თემა ვერა და ვერ გახდა. ალბათ, ლარის გაუფასურების, სოციალური პრობლემებისა და კვერცხით ბრძოლის ფონზე, ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. სწორედ ამ გულგრილობით სარგებლობენ პოლიტიკოსები და ამიტომაც კიდევ ერთხელ მივიღებთ 150-კაციან პარლამენტს, სადაც ათობდე ნაცნობ ლიდერს დავითვლით, დანარჩენები კი ბიზნესმენები და სრულიად უცნობი სახეები არიან, რომლებიც ჩვენვე შემოვხვებით. ვითარება ახლაც იქით მიდის, რომ 2016 წელს ძველი საარჩევნო კოდექსით შეხვედრებით და არჩევნებსაც არსებული კანონით ჩავატარებთ, რაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას ერთნაირად აძლევს ხელს. ამის დასტურია ისიც, რომ ინტერპარტიული, 12 ოპოზიციური პარტიით დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც 2 წელია კოდექსის შეცვლას ითხოვს, ფაქტობრივად, აღარ არსებობს და დაშლილადაც შეიძლება გამოცხადდეს. ჯგუფი, რომელიც არჩევნების მაჟორიტარული წესის რეგიონულ-პროპორციულით შეცვლას ითხოვს, ხშირად ერთ აზრზე არც არის. მასში აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იყო, თუმცა არასაჯაროდ. განსხვავებული მოსაზრებები ჯგუფიდან რამდენიმე პარტიის წარმომადგენელს ერთდროულად გამოჰქონდა. სააღდგომო ტაიმ-აუტის შემდეგ კი არც ეს ჯგუფი და არც მათი მოსაზრებები აღარავის გახსენებია; მათ არავინ ახსენებს და როგორც რამდენიმე პოლიტიკოსი გამოგვიტყდა, ამ ჯგუფის შეხვედრებს უკვე ლიდერებიც იშვიათად ესწრებიან. გუნდიდან გამოტანილ ინფორმაციასაც რომ თავი დავანებოთ და მხოლოდ ლოგიკას გავყვეთ, დასკვნის გამოტანა არც მაშინ გაჭირდება — ინტერპარტიული ჯგუფი, რომელიც შეხვედა ყველას, პრეზიდენტს, პარლამენტს თავმჯდომარეს, საპარლამენტო ოპოზიციასა და ცალკეულ ფრაქციებს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლებს, კატეგორიულ უარს ამბობს ქუჩის აქციებზე მოტივით — ხალხი არ აგვევებაო. დღევანდელ ვითარებაში, როცა ქვეყანას ახალი სენი შეეყარა და ყველა რალაცას აპროტესტებს, ეს ცოტა უსუსური არგუმენტია. მეორე საკითხი, რაც არადა-მაჯერებლად გამოიყურება, განსხვავებული პოზიციებია — ინტერპარტიულ ჯგუფში ლიდერების ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებისთვის დათმობით მეტ შედეგს მიიღებს, ნაწილს კი ხისტი პოზიცია აქვს. „ვერსიასთან“ საუბარში გაკეთდა განცხადებები, ამჯერად დავთმობთ და 2016 წლის არჩევნები ძველი კოდექსით ჩავატარებთ, თუკი პირობას მივიღებთ, რომ 2020 წლამდე კანონი სასიკეთოდ შეიცვლებაო. ნაწილი კი ამას დაუმეზღვრებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ დათმობის საკითხი ჯგუფში არც განხილულა. კიდევ ერთი გაუგებარი ფაქტი პრეზიდენტის გამოსვლის სრული იგნორირება იყო: ვიღაცე მარგველაშვილმა პარლამენტში, ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას, ოპოზიციას „სატოპუკე“ აუწია და დეპუტატებს ლამის თითისქნევით უთხრა, არასაპარლამენტო ოპოზიციას შეხვედრი, კარგი იდეები აქვთ, არჩევნების მაჟორიტარული წესი გააუქმეთ და ამ საკითხის ინიცირება საგაზაფხულო სესიაზე მოასწარით. ამ საკითხზე ყურადღება ყველამ გაავამახვილეთ, არასაპარლამენტო ოპოზიციას კი თემა არც გაუაქტიურებია — გაატარეს და „ვერსიას“ ასეთი კომენტარი მისცეს: ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი რიგითი მოქალაქეა და მას არაფრის შეცვლა შეუძლიაო. საოცარია ისიც, რომ ეს ჯგუფი ამბობს,

ანტი

საჩუქრად iPhone 6 ან Samsung Galaxy S6 ლიბერთი ბანკის მობილბანკის მომხმარებლებს!

გაიჩაქტიუხეთ მოზი ბანკი უფასო!

შეასხუდეთ მინიშნა ახით მოახსენიეთ მოზი ბანკის საუბადახით და მიიღეთ iPhone 6 ან Samsung GALAXY S6 -ის მოზი ბანკის!

ჩამოტვირთეთ მოზი ბანკის აპლიკაცია

App Store | Play Store

www.libertybank.ge/mobile

პროგრამის დასრულების შემდეგ მოხდება iPhone 6-ის ან Samsung Galaxy S6-ის მფლობელი ხდება. გამარჯვებულს თავად შეუძლია სასურველი საჩუქრის არჩევა.

აქცია ძალაშია 22 აპრილიდან და მოქმედებს ლიბერთი ბანკის ყველა მომხმარებლისთვის. აქციაში ავტომატურად მონაწილეობს მომხმარებელი, რომელიც მინიმუმ ერთ ტრანზაქციას შეასრულებს მოზი ბანკის გამოყენებით.

მობილბანკის გააქტიურება და აპლიკაციით სარგებლობა უფასოა ყველა მომხმარებლისთვის. მომხმარებლებს, რომლებსაც გააქტიურებული აქვთ ინტერნეტბანკი, მარტივად შეუძლიათ ჩამოტვირთონ მოზი ბანკის აპლიკაცია App Store-დან ან Google Play Store-დან. აპლიკაცია ხელმისაწვდომია iOS და Android სისტემის სმარტფონებისთვის.

დამატებითი დეტალები მოცემულია ვებგვერდზე: www.LibertyBank.ge/mobile.

მათ, ვისაც ჯერ არ აქვთ ჩართული ინტერნეტ ან მობილბანკი, შეუძლიათ ეწვიონ ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალს და უფასოდ გააქტიურონ ეს სერვისი.

ლიბერთი ბანკი მომხმარებელს მომსახურების სხვადასხვა არხს სთავაზობს, რომელთა გამოყენებითაც მომხმარებელს საბანკო მომსახურების მიღება ბანკში მიუსვლელოდაც შეუძლია, რაც საბანკო მომსახურებას უფრო ხელმისაწვდომს ხდის. ინტერნეტ და მობილბანკის გამოყენებით, მომხმარებელს შეუძლია გადარიცხოს თანხა საკუთარ ანგარიშებს შორის, გადარიცხოს თანხა საქართველოში ან საზღვარგარეთ, მიიღოს ან გაგზავნოს საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილები, გადაიხადოს კომუნალური და სხვა გადასახადები, დაფაროს სესხი, გახსნას ანაბარი და ა.შ.

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა და პარლამენტის ტრიბუნიდან...

ფროიდის გაკლენა პატიმარებზე

რაცომ აზიარა სროკზე მეოფმა ექიმმა მსჯავრდებულები გერმანულ ფსიქოლოგიას



„ჰოდა, მეც მაგას ვამბობ, მარტო ჩვენს ნაჭურჭში ნუ ჩაიკეტები, სხვა რამეებიც ნაიკითხე. აი, ახლა შენ რომ ფროიდი გქონდეს...

„მერე, როგორი როჟაა?“ — მელიქამ რეგვენობა გაატარა. „რა ვიცი, არის რა. ზონის ექიმები კონსულტაციებზე...

„ბიძაჩემო, მუცელში, მარჯვენა მხარეს რაღაც მტკივა და მითხარი ერთი რა მჭირს. ახლა არ დამინწყოს, ყანალებს არ გმკურნალობო...

„მარჯვენა მხარეს ღვიძლია და ყანალობასთან ერთად „ნამალსაც“ რომ იმხაპუნებდი, მაგის ბრალი იქნება. რაც შეეხება...

„მამია, კაცო, ხელს არ მომკიდებ?“ — დაინტერესდა მელიქა. „სად?“ — არანაკლებ დაინტერესდა ნოდარი.

„რა სად, კაცო, მუცელზე, მარჯვენა მხარეს მტკივა-თქო“, — მელიქა ამკარად გაბრაზდა. „ჰოდა, მეც გეუბნები, ღვიძლი იქნება, რა. ჯიგარი ანუ...

„კაიბიჭებზე რა თქვი?“ — დაიძაბა მაცურებელი. „ის, რაც იმი დღის ნინ ზონის მაცურებელმა თქვა. მე კი არ ვთქვი...

„არა, მე უცხო ტიპები არ მიყვარს. ვაჟა მკითხე, გალაკტიონი, ჭაბუა ამირეჯიბი“, — გაიბღინა მელიქა. „კარგი, გკითხავ. თუთაშხიამდე რა დანერა ჭაბუამ, თუ იცი შენი?“

„არა, მე უცხო ტიპები არ მიყვარს. ვაჟა მკითხე, გალაკტიონი, ჭაბუა ამირეჯიბი“, — გაიბღინა მელიქა.

„მეღიქამ თვალები გადმოყარა, მერე დაიმორცხვა და არ ვიცი, ჩუმად თქვა.“

პერსონალიზი

საქართველომ EENA-ს დაჯილდოების სერტიფიკატს „განსაკუთრებული მოქალაქის“ ნომინაციაში გაიმარჯვა

საქართველომ ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ყოველწლიურ დაჯილდოებაზე „განსაკუთრებული მოქალაქის“ ნომინაციაში გაიმარჯვა.



დაჯილდოების ცერემონია ემოციებით დატვირთული, დაუფინსარი საღამო იყო, რომელსაც 500-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა...

ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტმა, ადინა იოანა ვალეანამ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს პირადად გადასცა...

„ეს არის დიდი სიამოვნება და პატივი, რომ დავაჯილდოვო მდინეებისთვის ორგანიზაციები, მამაკაცები, ქალები და ბავშვები...

„112“-ის დანიშნულებისა და მისი გამოყენების შესახებ ბავშვების ინფორმირება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა იცოდნენ...“

„112“-ის დანიშნულებისა და მისი გამოყენების შესახებ ბავშვების ინფორმირება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა იცოდნენ...“


„112“-ის დანიშნულებისა და მისი გამოყენების შესახებ ბავშვების ინფორმირება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა იცოდნენ...“

„112“-ის დანიშნულებისა და მისი გამოყენების შესახებ ბავშვების ინფორმირება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა იცოდნენ...“

„112“-ის დანიშნულებისა და მისი გამოყენების შესახებ ბავშვების ინფორმირება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა იცოდნენ...“

„საქართველოში პროფესიული განათლება ევროპული სტანდარტების შესაბამისად ვითარდება“

რა ცვლილებები შედის პროფესიული განათლების შესახებ კანონში



ენიმო ლურსმანაშვილი

593-51-52-04

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტი მოამზადა. პროექტი მთავრობამ უკვე მოინონა და უახლოეს მომავალში საკანონმდებლო ორგანოში განიხილავს. მთავარი კი ისაა, რომ პროფესიული სტანდარტები და ახალი პროგრამები უშუალოდ დამსაქმებლების ჩართულობით მომზადდება. ეს ნიშნავს, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დადგინდა პროფესიათა პროგრამები-აღწერილობები — რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს, რომ დამსაქმებელმა სამსახურში აიყვანოს. კიდევ ერთი სიახლეა ის, რომ პროფესიულ განათლებაში ე.წ. მოდულური მიდგომა იწერება. სტუდენტებს, პროფესიის დასაუფლებლად, რამდენიმე თეორიული საგნის შესწავლის ნაცვლად, კონკრეტულ პროფესიაზე მორგებული მოდულების გავლა მოუწევთ. განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ ზოგადად პროფესიულ განათლებაში მიმდინარე ცვლილებები პოტენციურ სტუდენტებს ხელს შეუწყობს, პროფესია სწორად აირჩიონ, სწავლის პროცესში კი ისეთ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ, რომლებსაც დასაქმების მეტი პერსპექტივა ექნებათ. რას მოიცავს მოდულური პროგრამები? როგორ დადგინდა პროფესიული სტანდარტები და, ზოგადად, რატომ გახდა საჭირო „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა? „ევროსის“ კითხვებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქაქიკვიან ნატრიაშვილი პასუხობს.

ვის საკითხი, სადაც მნიშვნელოვანია თავად დამსაქმებლების ჩართულობა. ევროპელი ექსპერტები დაგვეხმარნენ და შემოგვთავაზეს პროფესიული სტანდარტების შემუშავების პროცესში დამსაქმებლის ჩართვის სპეციალური, ევროპის მრავალ ქვეყანაში აპრობირებული მეთოდოლოგია, რომელიც ეხმარება დამსაქმებელს, განსაზღვროს ამა თუ იმ პროფესიის დასაუფლებლად აუცილებელი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.

— **უფრო კონკრეტულად, რას ნიშნავს პროფესიული სტანდარტის შემუშავება დამსაქმებლის მიერ?**

— დამსაქმებელი ადგენს პორტრეტს, როგორი კადრი სჭირდება, რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონდეს მას, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს... დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული ეს პორტრეტი იქცევა საგანმანათლებლო პროგრამის საფუძვლად. რა თქმა უნდა, პროცესში განათლების ექსპერტებიც მონაწილეობენ. დამსაქმებლის ჩართულობა პროფესიული სტანდარტების შემუშავებისას იმის ნიშანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები მოამზადებს დამსაქმებლისთვის სასურველ კადრებს. მნიშვნელოვანია, რომ იცვლება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია და სწავლების მიდგომა. აქამდე გვექნა უფრო საგნობრივი სწავლება ანუ განყენებულად ისწავლებოდა სხვადასხვა თეორიული საგანი, მაგალითად, მასალათმცოდნეობა, კულინარიის ისტორია ან მარკეტინგის საფუძვლები... ახლა გადავივარდეთ ბევრად მოქნილ, მოდულურ მიდგომაზე, რომელიც პრაქტიკულ სწავლებაზეა ორიენტირებული.

— **რას ნიშნავს მოდულური მიდგომა და რა უპირატესობა აქვს მას სწავლების აქამდე არსებულ მეთოდთან შედარებით?**

— ზოგადად, მოდულური მიდგომა, ორიენტირებულია სწავლის შედეგებზე. მეტიხველისთვის უფრო გასაგები რომ იყოს, მარტივი მაგალითით ავიხსნათ. მაგალითად, თქვენ გსურთ, გახდეთ მზარეული. აქამდე, ამ პროფესიის დაუფლებისას, თქვენ ისწავლიდით საგნებს — სანიტარული ნორმები, კვების ჰიგიენა, ხელოვნების ისტორია... ამიერიდან, ინფორმაცია, რომელიც თქვენ, როგორც მომავალ მზარეულს, გჭირდებათ, მოდულურად შეესაბამის პრაქტიკულ უნარებთან ერთადაა კონცენტრირებული. მაგალითად, გადამწყვეტი ეროვნული სამზარეულოს შესწავლა. ყველა ინფორმაცია, უნარი, რომელიც გჭირდებათ ქართული კერძების მოსამზადებლად, განზოგადებულია სხვადასხვა საგანში კი არა, შესაბამის ერთ მოდულში იქნება თავმოყრილი. მზარეულობის მსურველი სხვა სტუდენტი დაინტერესდება ფრანგული, იტალიური ან სულაც, აზიური სამზარეულოთი და ისწავლის შესაბამისი მოდულით. ეს მიდგომა პროფესიონალიზმს აამაღლებს და გარდა ამისა, დამსაქმებელსაც გაუადვილებს საქმეს — კვალიფიკაციის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტში მარტივად იქნება ასახული, რისი გაკეთება შეუძლია ამა თუ იმ პირს და დამსაქმებელიც ადვილად გადაწყვეტს, შესაბამისა თუ არა ეს სპეციალისტი მის მოთხოვნებს.

— **ეს მიდგომა, კურსდამთავრებულებს თუ აძლევს საშუალებას, მიღებული ცოდნა გაიღრმავონ?**

— დიას, მოდულური მიდგომა ძალიან კარგია არა მხოლოდ სკოლიდან გამოსული კონტინენტისთვის, არამედ ზრდასრული ადამიანებისთვის, რომლებსაც უნდათ, ცოდნა გაიღრმავონ, გადაეზადონ ან შეიძლება, შეიცვალონ კიდევ პროფილი. ამ შემთხვევაში, მათი ადრე მიღებული განათლების აღიარება მოხდება და აღარ მოუწევთ დროის დახარჯვა — სრული პროგრამის გასაგებლად. ისინი მხოლოდ დამატებით აირჩევენ იმ მოდულებს, რომლებიც პროფესიის შესაცვლელად თუ ცოდნის გასაღრმავებლად სჭირდებათ. აღსანიშნავია, რომ თვითონ მოდულები დაჯგუფებულია სხვადასხვა მიმართულებით. თითოეულ ჯგუფშია კონცენტრირებული სხვადასხვა კომპონენტი, რაც სტუდენტს მისთვის სასურველი სპეციალიზაციის არჩევის საშუალებას მისცემს. რადგან მზარეულის მაგალითზე ვისაუბრეთ, ისევე ამ შემთხვევაზე მოგახსენებთ. მაგალითად, მოდულების ჯგუფში, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული სამზარეულოს შესწავლას, შეიძლება იყოს ისეთი მოდული, როგორიცაა,

საკონდიტრო ნაწარმი, ქართული ჩაი... ასე რომ, როდესაც სტუდენტი ირჩევს პროგრამას, რომელიც უნდა გაიაროს, ზუსტად ხვდება, რისი გაკეთება შეეძლება მისი დასრულების შემდეგ. ექსპერტების აზრით ეს მიდგომა გაამართლებს.

— **ამბობთ, პროფესიული სტანდარტის განსაზღვრისას დამსაქმებელიც არიან ჩართულები. კონკრეტულად, რა კატეგორიის დამსაქმებლებთან თანამშრომლობს განათლების სამინისტრო?**

— ზოგადად, დამსაქმებლის ჩართულობა ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია, დაგვემეტიან განხორციელების ჩათვლით. ამ პროცესს მათთვისაც შეუძლია სარგებლის მოტანა. ხშირად, თავადაც კითხულობენ კოლეჯებში ლექციებს, რათა სტუდენტებთან შეხება ჰქონდეთ და ცოდნა გადასცენ მათ. განათლების სამინისტროში სათანადო ორგანოა, სადაც სოციალური პარტნიორები არიან წარმოდგენილი. ზოგადად, პოლიტიკის ფორმირების პროცესში, მათთან კონსულტაციებს გავდივართ. სოციალური პარტნიორები არიან პროფკავშირები, დამსაქმებლები და მსხვილი კომპანიები, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები... ვცდილობთ, ყველა მიმართულება მოვიცვათ, რათა გავითვალისწინოთ ყველა ტიპისა და ზომის ბიზნესის საჭიროება. დიდი ყურადღება ექცევა სანარმოო პრაქტიკის კომპონენტს და სამუშაო ადგილზე სწავლებას, რაც ასევე ხელს უწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამოუმუშავებას, პოტენციური თანამშრომლისა და დამსაქმებლის სამომავლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ანუ კურსდამთავრებულის დასაქმებას. სანარმოო პრაქტიკის დროს დამსაქმებელი უკეთ ეცნობა პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობებს, რაც ეხმარება ჩამოიყალიბოს აზრი სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

— **ეს, ალბათ, იმასაც შეუწყობს ხელს, რომ პროფესიული განათლების მიღების შედეგად, კურსდამთავრებულს მეტად ჰქონდეს დასაქმების გარანტია. ზოგადად, პრაქტიკას რამდენად დიდი ყურადღება ექცევა სწავლების პროცესში?**

— შრომის ბაზრის მოთხოვნასთან დაკავშირებული სანდო ინფორმაცია, დაეხმარება პოტენციურ სტუდენტს, გაიაზროს, თუ რა პერსპექტივა, რა ტიპის სამუშაო არსებობს ბაზარზე, სადა შეუძლია დასაქმება და გადაწყვეტილება ამის მიხედვით მიიღოს. სწორად შეარჩიოს პროფესია. ამისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დამატებითი ინსტრუმენტებიც აქვს. მაგალითად, პროფორინტაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებს ვანვით ინფორმაცია, რა ტიპის პროფესიები არსებობს. შემდეგ, სწავლების პროცესში, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკას. ზოგადად, პროფესიული განათლებაში ძლიერდება პრაქტიკული კომპონენტი. მისი გაძლიერებისთვის, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ კერძო სექტორთან. განვიხილავთ, თვითონ სამუშაო ადგილზე სწავლების შესაძლებლობებსაც. ამ პროცესში, სტუდენტი პრაქტიკასაც მიიღებს და დამსაქმებელთან უშუალო შეხება და, შესაბამისად, დასაქმების მეტი პერსპექტივა ექნება.

დასასრული მე-8 გვერდზე

პერსონალიზი რაჭაში სამი ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა



ერთი პრიორიტეტია. 2014 წელს რეგიონის მასშტაბით 4 ახალი ბაღი აშენდა, 25 ბავშვი, 25 ბავშვი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა. გუბერნატორმა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომლებთან ერთად, საბავშვო ბავშვების ეზოების კეთილმოწყობაშიც მიიღო მონაწილეობა და მარადმწვანე ხის ნერგები დარგო.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში ახლად აშენებული ბავშვთა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარის გუბერნატორმა, პარმენ მარგველიძემ გამგებელსა და საკრებულოს წევრებთან ერთად გახსნა.

ურავში, ბოსტანასა და ჭყვიშოში საბავშვო ბავშვების მშენებლობა 2014 წლის ზაფხულში დაიწყო. მოენყო ოთახები, სამზარეულო და სველი სერტიფიკატი, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა, ბავშვთა სრულად აღიჭურვა საჭირო ინვენტარითა და ავეჯით. აღსანიშნავია, რომ სოფელ ჭყვიშოში საბავშვო ბაღი არასოდეს არსებობდა, დანარჩენ სოფლებში კი შენობები ამორტიზებული იყო.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-

„პირველი“



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

1 6 7 5 4 9 4 2 1 7 1 8 9 8 4 9 8 7 5 7 3 6 7 1

1 8 6 2 9 5 3 7 6 3 2 9 5 7 4 8 4 9 1 4 9 6 4 1 9 3 5

6 9 4 2 4 1 7 2 3 2 9 8 4 9 6 5 6 4 2 8 6 7 4 5 8 9 2 1 6

8 1 5 6 3 2 9 8 5 4 7 4 2 5 8 8 2 6 4 1 8 2 9 3 6 7 4 9

ბანქორუტის უჩვეულო ტრადიციები



მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ქორწინების განსხვავებული ტრადიციები არსებობს და იგივე შეიძლება ითქვას განქორწინებაზეც. ყველაზე მარტივი წესი აფრიკის კონტინენტის ახლომდებარე ერთ-ერთ კუნძულზე აქვთ, სადაც განქორწინების უფლებით მხოლოდ ქალი სარგებლობს. აბუზარი ქმრისგან თავისუფალი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი მის ტანსაცმელს სახლის ფანჯრიდან გადაყრის. უჩვეულო ტრადიცია აქვთ კუნძულ იავაზეც — აქაურმა მამაკაცმა, თუკი რაღაც მიზეზების გამო ოჯახის დანგრევა სურს, ხუთი ხე უნდა დარგოს, მონტენეგროში კი მოწმეების თვალწინ ცოლი და ქმარი თოქს შუაზე ჭრის და განქორწინებულად ითვლება.

ჰალსტუხი ნებისმიერი კოსტუმისთვის



ხორვატმა გამომგონებელმა ფუტურისტული ჰალსტუხი შექმნა, რომელიც იდეალურად მოუხდება ნებისმიერ კოსტიუმს. საქმე ისაა, რომ აქსესუარს ფერის შეცვლა შეუძლია. თუ თავს ჰალსტუხის არჩევაში ექსპერტად მიიჩნევთ ან პირიქით, უამრავ დროს ხარჯავთ, რომ იდეალურად შეუხამოთ პერანგს, ზაგრებელი დიზაინერის გამოგონება, მამაკაცების გაჯეტი iTie აუცილებლად მოგეწონებათ. ავტორის განცხადებით, ქმნილება მთლიანად ინტერაქტიურია და შეუძლია ფერი თუ ნახატი შეცვალოს ლილაკზე თითის დაჭერით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში ძლიერი სექსის წარმომადგენლებს მხოლოდ ჰალსტუხი-ქამლეონი დასჭირდებათ. გარდა ამისა, აქსესუარი ალტურელია მოქნილი დისპლევით, მალე კი ფუტურისტული ჰალსტუხის მფლობელები შეძლებენ სპეციალური დამატების გამოტვირთვას, რაც ქსოვილს ფაქტურასაც შეუცვლის. დიზაინერი ამტკიცებს, რომ კამერებით ალტურელი ქმნილებას პრაქტიკული გამოყენებაც ექნება: გაჯეტის ფლობელი შეძლებს განახორციელოს სატელეფონო საუბრები, გაგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ილაპარაკოს „სკაიპით“.



სექსი და ალკოჰოლი — სიამოვნების წყარო

ახალზელანდიელმა სწავლულებმა გამოკვლევა ჩაატარეს იმის გასარკვევად, რას მიიჩნევენ ადამიანები ყველაზე კარგ და ცუდ საქმედ. კვლევისას სამ კრიტერიუმს მიაქციეს ყურადღება და შედეგად გაირკვა, რომ ყველაზე მეტად სექსი და ალკოჰოლი უყვართ, ხოლო ყველაზე საძულველი ჭურჭლის რეცხვა და მკურნალობაა. საუკეთესო საქმიანობის ათეულში შევიდა ასევე სხვების დახმარება, რელიგიური ჩართულობა, ბავშვის მოვლა, მუსიკის მოსმენა, ადამიანებთან ურთიერთობა, შოპინგი და თამაში. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ყველაზე ცუდ საქმიანობათა ათეულში შევიდა მკურნალობა, Facebook, საოჯახო საქმე, სწავლა, გამოცდა, ტესტირება, ლექციაზე დასწრება, ფულის გამომუშავება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, კომპიუტერთან მუშაობა და ჭურჭლის რეცხვა.

წინა ნომერში გასული სკანოკრძისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი, სტანდარტი, რთული, ექსპერტი crossword puzzle solutions.

მე-12 გვერდი: 1. გიბრალტარი; 2. კიფოზი; 3. გედი; 4. ბოიარინი; 5. ასტრონომია; 6. კვინტილიონი; 7. ფრეილინა; 8. ზოდი; 9. სიმფიზი; 10. ოფიცირი; 11. ტრიოდი; 12. ტულა; 13. ამაღლამა; 14. ადლერი; 15. მჯილი; 16. ილფი; 17. ჯემი; 18. ოქრო; 19. ლენა; 20. ფიცი; 21. ლალა; 22. ოინი; 23. ბოა; 24. ზორო; 25. ონაგრი; 26. კოელი; 27. ბობ; 28. იუნგი; 29. ატა; 30. ატელიე; 31. ნინია; 32. ოფიციატი; 33. ნოლაი; 34. ნეი; 35. მაკე; 36. ანიმაცია; 37. მუნ; 38. ვანგა; 39. ინა; 40. ციტატა; 41. მაიმუნი; 42. აფსირტი; 43. სქოლიო; 44. ალა; 45. სამორინე; 46. მანე; 47. რკო; 48. მანგუსტი; 49. ნესესერი; 50. უინსტონი; 51. ქაფქირი; 52. გი; 53. იანი; 54. ქოთაო; 55. კროსი; 56. მენიუ; 57. აიეტი; 58. ჭლექი; 59. ალენი; 60. მილიონი; 61. ჭიანჭური; 62. ომი; 63. დურდო; 64. ამია; 65. ნისანი; 66. ლენტო; 67. ოდა; 68. ლანსიე; 69. ქონი; 70. ინსი; 71. უმი; 72. უნსეტი; 73. ტურინი; 74. კოტე; 75. ეირე; 76. ბიკინი; 77. საბონისი; 78. კრინი; 79. ილი; 80. ობი; 81. ასო; 82. ორიგამი.

დაცვის პოლიციის დაპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სსიპ დაცვის პოლიციის დაპარტამენტი აცხადებს
18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას
საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდებლების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის

მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

- ვადა:** 12 თვე
- გრაფიკი:** სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
- ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
- ყოველთვიური ანაზღაურება:** 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

- 1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
 - 2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
 - 3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;
- წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.
- დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).



1. საბანაოდ განკუთვნილი მჭურჭელი	2. შევიწროვებული დედაქალაქი	3. ახალი ტანსაცმული ბავშვის ჩანაწი	4. ქალაქი საფრანგეთში	5. სწრაფ-მავალი კატერი	6. ნახევრად-მაიონეზი ერთგვარი	7. „ც“ ვიტამინის ნაჯი გამოწვა დაფუძნება	8. ბიბლიოლოგიური პერსონალი ქალი
9. სამკურნალო ბალახოვანი მცენარე	10. ბამბის წმინდა ქსოვილი ერთგვარი	11. მადრიდის საფეხბურთო გუნდი	12. ძვირფასი მეტალი	13. მხარე დასავლეთ საქართვე.	14. ალადინის მაიონეზის სახელი	15. ბრაზილიელი საფეხმწვრთნელი	16. საცალფეხო გზა
18. ჯალათი ძველ ქართულში	19. აშშ-ის ვალუტა	20. ამაზონის მტაცებელი თევზი	21. ბალახოვანი მცენარე ცისფერი ყვავილებით	22. სოფელი სიღნაღის რაიონში	23. ანტილოპას სახეობა	24. მუსიკალური მიმდინარეობა	25. ანგლოზთა ქალაქად წოდებული ქალაქი - ანკეუსი
26. გასართ. წარმოდგენა 27. ტელ. ავტომატი	28. ზოლიქის ნიშანი	29. სამი წერტილი კამათელზე	30. ვაზების მწკრივი ვენახში	31. ნადირობის მფარველი ქართულ მითოლოგიაში	32. გემის აცდენა კურსიდან	33. სასწრაფო და-წესებულების ტიპი	34. კარჩაბული სასოფლო-სამეურნეო უბანი
35. მწერალი ... მორჩილაძე	36. საპატო ვოლო	37. თხების ჯოგი	38. ლოცვის დასკვნითი სიტყვა	39. ლატვის ეროვნული ვალუტა	40. ქალაქი ყირგიზეთში	41. იაზონის სმალდი	42. უმცირესი ნატურალური რიცხვი
43. საბუთის მკერე პირი	44. ბაშკირეთის დედაქალაქი	45. მგალობელი ფრინველი	46. არაბი მმართველის ტიტული	47. პატარა ტყე მიწდორში	48. საოპერო პარტია	49. წინასწარი ზომების მიღება	50. ჩინური ტანვარჯიში
51. სოფელი ონის რაიონში	52. მამალი კვიცი	53. ტანზე შემოსასველი ქსოვილი პლაჟზე	54. სვალის მომდევნო დღეს	55. დიდი ბოთლი	56. სამშენებლო ქვა	57. მაუგლის მგობარი პითონი	58. ბრაზილიელი ფეხბურთელი
59. მოკლე უვადო სმალი	60. ბევრ ცხიმში შემწვარი თევზი	61. ტბა იტალიაში	62. პომოსტის მამაკაცის აღნიშნული ტერმინი	63. დაკოლილი ცხენი			

ვერსია
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
 UDC(უპაკ)070.48:32(479.22)3-387

დაგეგმვის და მითითებული რედაქტორი
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
 მმართველობა: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
 გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
 სტილისტი - ნინო ებანოიძე
 დიზაინერი - გიორგი ლომსაძე
 ტელ: 2942399



დაცულია საავტორო უფლებები.
 რედაქციაში შემოსული
 მასალები უკან არ ბრუნდება.
 სტატიებში მოყვანილ ფაქტებსა
 და ინფორმაციის სიზუსტეზე
 პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
 შემთხვევაში დაგვიკავშირდით
 14 დღის განმავლობაში.